

მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №24(86) 2014 წ. 16-31 დეკემბერი ფასი 50 თეთრი

გილოცავთ დაგდებ 2015 წელს!



საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბაზემოვა და საკრებულო გილოცავთ დაგდებ 2015 წელს!

დაე, ეს წელი ყოფილიყოს სიკეთის, დოვლათის, სიუხვის, ქვეყანაში დაწყებული აღმშენებლობის გაგრძელების და საქართველოს ტერიტორიული გამთლიანების, წარმატებების წელი.

მშვიდობა, კეთილდღეობა, შემწვანარებლობა, კაცთმოყვარეობა, აკვნების სიმრავლე, ხვაი და ბარაქა დაგბედებოდეთ!

ყოველდღწმინდა ღვთისმშობლის მფარველობა, წყალობა და შემწეობა არ მოჰკლებოდეს ჩვენი მუნიციპალიტეტის მოსახლეობას და სრულიად საქართველოს!

მრავალჯამიერ!



*გიორგი გზირიშვილი,
საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელი
ვრიღონ გურღული,*

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე



„ღმერთო, სამუბლო მიცოცხლე!“

თინათინ გვგულიაშვილი

რუკა საქართველოსი, ზღუბლისფერი...

შუადამეა...
 ალუბლისფერი მტანჯავს ტკივილი
 და დიდგორიდან მოტანილი ყვავილებით
 ვფარავ შენს სხეულს, მტრისგან აჩეხილს.
 ფარავნის ტბაში ირეკლება ჩემი წუხილი,
 ოშკის და ბანას მკლავს მონატრება
 და ქვემო ქართლის პურის ყანებს შესეული
 ყაყაჩოსავით მენთება სახე, ისე მიყვარხარ,
 შუადამეა, ვიდაცას, ალბათ ბროწეული შემოეჭყლიტა ნატიფ თითებში
 და აჭარისწყლით გაზავებული, ოდნავ ფერმკრთალი და გამჭვირვალე
 ტკბილი სითხე გადაეღვარა შენს ფაქიზ სხეულს
 და უნებლიედ ალუბლისფრად შეგაფერადა...
 და ენკენისთვის მცხუნვარე ღამეს,
 მორჩილად წვეხარ ჩემს ოთახში დაჭრილი და ჩამოფლეთილი,
 და სატანისგან მიყენებულ ნატკენ იარებს
 ღიახეის მდგრიე და წაბილწული ცრემლით იგრილებ...
 ნუ გეშინია! მე გადავიცემე ჯაჭვის პერანგს
 ახლადმოვლენილს რომ მანუქე ქუთაისში ტაძრის მახლობლად
 და მოგონებდა გადაქცეული ასეენია ძველისძველ სკივრში.
 მე მოვიმარჯვებ უძლეველ მახვილს,
 მახვილს, რომელსაც აწერია ჯადოსნური სიტყვა –
 სიძარტლე –
 და ქრისტეს ჯვარით ავიჭრები მესხეთის მთებში.
 მე ბუდაურის მაგივრობას გამიწვევს მტკვარი
 და კუნთმაგარი, ყალყზე შემდგარი მძიმე ტალღებით
 შემომატარებს ძვირფას სამეფოს
 და „ვლადიკავკაზს“ შევალწავ სისხლიან ბორკილს!
 ჩემო სამშობლო, მე მოგაგონებ ძველ დიდებას, უძლეველ წარსულს
 და უფლის ნებით გაბრწყინებულ

მზის ამოსვლამდე დაიბადები ხელმეორედ თავისუფალი,
 მე დაგიბრუნებ პარხალს და ოლთისს,
 ალავერდს, ლორეს, სოჭს და ათინას
 და თერგის წყალსაც ვეახლები ძველი ვალის გასასხენებლად.
 მე დაგიბრუნებ კახს და ბელაქანს,
 არტანს, ართვინს, არტანუჯს, ოკდემს
 და სტეფანწმინდას შევისვენებ გადაქანცული.
 და შემოვაცლი უცხო ქსოვილს პუჯაბს და ქურმუხს,
 თეთნულდის თოვლით დაგიამებ ყველა იარას
 და ნატრილობებს გადაგიხვევ ალაზნის ველით.
 და მე ვიქნები ამაყი და თავისუფალი!
 მე შემოვივლი სენაკს, მარტვილს, ბოლნისს, მესტიას
 და ხორნაბუჯში თაფლის წმინდა სანთელს აგინებ .
 მე გადავფურენ ჯავას, ჰერეთს, ტაოს, აფხაზეთს
 და უშბის წვერზე ჩამოვჯდები გასაგრილებლად.
 მე ვიბანავებ ტეხურის და ბზიფის ტალღებში
 და რქაწითელის მწიფე მარცვლებს შემოვიხვევ ყელზე მძივებად,
 ცაში არწივის ზვიად მართვეს დავიმეგობრებ
 და ხევისურეთის სილაჟვარდეს ჩამოვკვამხებ ვეფხის წვეთებად.
 ო, საქართველო,
 ალუბლისფერი ხარ საოცრება
 და ჩვენ ვერავინ და ვერასოდეს ვერ დაგვაშორებს!
 შეიბ მახვილი, ამორძალო, მზის ამოსვლამდე...
 მზის ამოსვლამდე, მაცხოვარო, მზის ამოსვლამდე...
 ო, დამაცადე, დაგტკებ დამის თავისუფლებით.
 ...
 უკვე თენდება.
 ალუბლისფერი მტანჯავს ტკივილი
 და დიდგორიდან მოტანილი ყვავილებით ვფარავ შენს სხეულს,
 ნადავითარი ხმლების ჩრდილქვეშ რომ მოვაგროვე...

ბოგლა ლეონიძე

„გუგუგუ სამუბლოს“

სულ ჩემი გულის მონაწერი,
 რაც დაეწკარა ქაღალდს ლექსები,
 გუმღერ სამშობლოს, კიდევ მწყურია,
 და მის სიყვარულს დაემწყურებო.
 მშობელ მიწაში მიდგას ფესვები,
 როგორც წყალში ღვას
 წნორის ძირები,
 სიცოცხლეს არვის დავესხებო,
 თუ სამშობლოსგან გავიწირები!
 მარადი შუქით ბრწყინვალეებს იგი,
 მისი ნათელი დამთოვებია,
 სიცოცხლე – მისი მშვენების იქით –
 ერთ ნაბიჯზედაც არ მდომებია!
 აუღერდეს მისთვის პოეტის ენა
 და ტკბილი სიტყვის გამართულობა,
 ვით ღონიერი ნიაღვრის დენა,
 ჩემი თქმულობა, ლექსქართულობა!
 დამდგარა ჩემი სიმღერის ჯერი,
 ეს ყვავილები მე დავაგროვე,
 მე ვარ სამშობლოს
 ჩუქურთმის მკრელი,
 ვარ ახალ ქართლის თანამედროვე!
 გულის ნათელი მე მიპოვია,
 ქართლის დიდების მე ვარ მნახველი;
 სამშობლო – ჩემი გულის ფეთქება
 სამშობლო – ჩემი ლექსის სახელი.

რამინ მარტაშვილი

საბარკაო

რა დავიფიცო თვით საფიცარო
 ჩემო ოცნების ტკბილო ხატება,
 გულში ჩაღვრილო სიყვარულად
 და სულში
 ცისკრის ამონათება;
 ცად ატყორცნილო მანავის ციხე,
 დავით გარეჯის მიწა დაწვარო –
 მაღალი სულით და დიდი რწმენით,
 ბადვენახებად მკედრებით აღმდგარო.
 თუკი დამჭირდა ოდესმე ფიცი,
 მშობლო მიწავ,
 გარეჯის მიწავ,
 რა დავიფიცო, სხვა უკეთესი,
 შენ თავსა ვფიცავ.
 შენ თავსა ვფიცავ.
 ციკოლის გრილი ნიათი ვტკბები,
 სულ ვიდიმი და აღარ ვტირი მე
 ნინოწმინდაო და კაწარეთო,
 თქვენი ბებური ბჭენის ჭირიმე!



იოსებ სოხაშვილი

სიმღერა საბარკაოზე!

ციკოლის ტკბილო ნიათო,
 წინ ივრის გადასახელო
 კალმით ნახატო გარეჯავ,
 ჩემო პატარა კახეთო,
 დიდოსტატ ხელით ნაჭედო,
 ჩუქურთმავ გაუხუნარო –
 მტერთან თვალუხამხამებო,
 ხერხემალგაულუნარო.
 ვაზო, სათუთად ნაზარდო,
 შენთვის დაეხუჯო თვალები
 შენი ფესვების მიწა ვარ –
 მაგ ფესვებს ვენაცვალე...
 მახარებს შენი ალგები –
 ბაღების გულის მკურნალი
 შენი ჭაბუკი ჭადრები,
 ცაცხვის ყვავილთა სურნელი.
 კამკამა წყაროს სათავე,
 ღვინოვ ჩქეფვარსკელავიანო
 ყანწო, ხელისხელთ ნასროლო,
 სიმღერავ –
 ქართულხმიანო ...
 რამდენიც უნდა ვიცოცხლო,
 მუდამ სანატრად მეგუელო,
 მე მარად შენი ბავშვი ვარ –
 შენს ძუძუს დაწავებული ...

ბელა შალვაშვილი

მს ... თქვენ ბაბიმაჩქო!

ურიცხვი ვარამის მნახველები
 სხედან, ბუბუნებენ დინჯი კახელები.
 არა პირბოშნი და საქმენადლები,
 სხედან მკერდსაშინა
 პატარა ნაღმებით
 თითქოს აფასებენ ნაჯაფ-ნახელავებს,
 დროდადრო კოჟრიან
 ხელებს დახედავენ,
 ალაზნის ველივით დაფიქრებულები
 დამუნჯებულები სათქმელით
 უღევით ...
 მაგრამ გახელებაც იციან
 კახელებმა –
 აპა, ალავერდი – სიღინჯე
 – კახელები.
 და თუმცა მღერიან
 „მრავალკამიერო“,
 ათასი ჭირის და ვარამის
 მნახველებო,
 ეს თქვენ გაგიმარჯოთ,
 ძმანო, კახელებო!

ნოდარ დიდგულიაშვილი

ბარკაო

ფერგაცილი ფრესკას
 დაფარვატებს ფრთები ფარვანის,
 სასომხიდილი სანთლის სხივი
 სურავს სენაკებს,
 გადმონგრევა ქონგურები
 ციხე-გალავანს
 ფუძე ჩაშლია, ჩაშრეტია უწინ ზე ნაგებს.
 ჩაუშუსლია ისტორიას ბერიკაცივით,
 ქვაში ქარიშხლობს სული წინაპრის,
 აჭიხინდება ბედისწერა ურა კვიცივით
 და ღაგამივით ჩაელიდ დროს გაღრღნის.
 დაჭრილს, დალახვრულს,
 წაგაფარეს ღამე ასკეცი,
 სისხლიან ხელით ჩამოგამხეს
 თავზე ცხრა რიდე,
 მე შენი სისხლი, სისხლთაგანი
 ლოცვად დავეცი
 და შენი სული წკვარამ ღამეს
 გამოვარიდე.
 სხვისა არ ვიცი, მე შენ შემძრი
 ქვა ფასეული,
 პაპათა ლოცვით ფესზეც
 ვდგავართ, ღმერთმაც ისმინოს,
 აკიჟინდება მარღვში სისხლი
 გადარეული,
 გულიც აფრენას ისე ღამობს,
 როგორც მიმინო.
 ... გათენებისას მოვრალი მოვარე
 მთებს გაეპარა,
 ცის სისხლისფერი მოსასხამი
 მსუსხავს შორიდან,
 ვარ შემართული საბრძოლველად
 ხარი წიქარა
 და სისხლიანი მელოდება ჩემი კორიდა.

უჯარმაში

მიმწუხრისუამს მაველიანში,
 შაში, შავი ფრთოსანი,
 ლოცულობს და ლოცვას ისმენს
 ჯვარი პატიოსანი.
 ხეებს ბინდი მოჰფენია
 ტყვიისფერი მანტია;
 უჯარმასთან უქრობელი
 ძველი ცეცხლი ანთია.
 წამონთებულ გულს მიგრილებს
 ლოცვა შავი ფრთოსანის,
 კახურ ლაშქრულს მიბუხუნებს
 იორი თოროსანი.
 ალიონზე განიხენება
 კარნი ცხრავე ცისანი
 და ციხესთან დაცემია
 ჩრდილი ვახტანგისანი.

„თავის წესს არ ჰვლის გუნება, ღაბე ღღას, ღღე სვვლის ღაბესა“

2015



იანვარი

ორშაბათი		5	12	19	26
სამშაბათი		6	13	20	27
ოთხშაბათი		7	14	21	28
ხუთშაბათი	1	8	15	22	29
პარასკევი	2	9	16	23	30
შაბათი	3	10	17	24	31
კვირა	4	11	18	25	

თებერვალი

	2	9	16	23	
	3	10	17	24	
	4	11	18	25	
	5	12	19	26	
	6	13	20	27	
	7	14	21	28	
1	8	15	22		

მარტი

	2	9	16	23	30
	3	10	17	24	31
	4	11	18	25	
	5	12	19	26	
	6	13	20	27	
	7	14	21	28	
1	8	15	22	29	

აპრილი

		6	13	20	27
		7	14	21	28
1		8	15	22	29
2		9	16	23	30
3		10	17	24	
4		11	18	25	
5		12	19	26	

მაისი

ორშაბათი		4	11	18	25
სამშაბათი		5	12	19	26
ოთხშაბათი		6	13	20	27
ხუთშაბათი		7	14	21	28
პარასკევი	1	8	15	22	29
შაბათი	2	9	16	23	30
კვირა	3	10	17	24	31

ივნისი

1	8	15	22	29	
2	9	16	23	30	
3	10	17	24		
4	11	18	25		
5	12	19	26		
6	13	20	27		
7	14	21	28		

ივლისი

	6	13	20	27	
	7	14	21	28	
1	8	15	22	29	
2	9	16	23	30	
3	10	17	24	31	
4	11	18	25		
5	12	19	26		

აგვისტო

		3	10	17	24	31
		4	11	18	25	
		5	12	19	26	
		6	13	20	27	
		7	14	21	28	
1		8	15	22	29	
2		9	16	23	30	

სექტემბერი

ორშაბათი		7	14	21	28
სამშაბათი	1	8	15	22	29
ოთხშაბათი	2	9	16	23	30
ხუთშაბათი	3	10	17	24	
პარასკევი	4	11	18	25	
შაბათი	5	12	19	26	
კვირა	6	13	20	27	

ოქტომბერი

	5	12	19	26	
	6	13	20	27	
	7	14	21	28	
1	8	15	22	29	
2	9	16	23	30	
3	10	17	24	31	
4	11	18	25		

ნოემბერი

	2	9	16	23	30
	3	10	17	24	
	4	11	18	25	
	5	12	19	26	
	6	13	20	27	
	7	14	21	28	
1	8	15	22	29	

დეკემბერი

		7	14	21	28
1		8	15	22	29
2		9	16	23	30
3		10	17	24	31
4		11	18	25	
5		12	19	26	
6		13	20	27	

ჩვენი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები 2014 წლის ფინიშთან გაკეთდა, მოწესრიგდა და კვლავაც სასიკეთოდ გაკეთდება

„თუკი მშობლები შეიღებენ მიმართ საჭირო მზრუნველობას არ იხევენ, არ არიებენ, კეთილი წესებით არ განსწავლიან, მათი სულების გამო მშობლებს პასუხი მოეთხოვებათ“.

წმინდა სიმეონ ახალი ღმერთისმაცხვარი

„მშობლებო და აღმზრდელებო! მთელი მზრუნველობით წინ აღუდგეთ ბავშვების კაპრიზებს თქვენი მისამართით, თუ არა, ისინი მალე დაიფიცებენ თქვენს სიყვარულს, გულს სიძულვილით აივსებენ, მალე დაკარგავენ წმინდა უზაკეულ, მხურვალე სიყვარულს, ხოლო ზრდასრულობის მიღწევის შემდეგ კი მწარედ ვისაყვედურებენ იმის გამო, რომ სიყმაწვილეში ზედმეტად ანებებდით, აქეზებდით მათი გულის ახივებას. კაპრიზი – გულის გაფუჭების ნაწინასწარია, გულის ჯანგია, სიყვარულის ჩრჩილია, ბოროტების თესლია, საბავშვო უფლისათვის. სწავლებისას პატივს სწავლიან მხოლოდ გონების განვითარებას და გულის უფრადღებოდ დატოვება, – ყველაზე მეტად გულს უნდა მივაქციოთ უფრადღება... საზოგადოება სწორედ ქრისტიანული აღზრდის უკმაბრისობის გამო განიხრწნა. დროა, ქრისტიანებმა გაიგონ, თუ რა სურს უფალს ჩვენგან. მას წმინდა გული სურს: „ნეტარ იყვენ წმიდანი გულითა“ (მათე 5,8)

წმინდა იოანე კრწანთაძე

„აწინდელ დროში პნელია დაიცვა სიყმაწვილე თვითრჯულობისგან (ე.წ. თავისუფალი აზროვნებისაგან), რომელიც მთელ დედამიწაზე დაღვრიდა და უფრადღებით დაბნელებულ ადამიანთა გონებას მღვრიე წყლებში ბიჭავს. მაგრამ თქვენ დეითი შეწვევით მათ (ბავშვების) გულზე მარტო-მარტო აღმზრდებლობის თესლი დათესეთ, დაარწმუნეთ ისინი დეითი შიშით, რომელსაც უფლის მცნებების აღსრულების საშუალებით მიჭავს სიყვარულისკენ. კეთილმზრუნველის თესლი მათი გულების ჩვილ ნიადაგზე რომ დაეცემა, შესაძლოა, დროთა მანძილზე სიწმინდის ნაყოფი გამოიღოს, მართლმადიდებლური სიწმინდის სიმტკიცით. ეცადეთ, არ დაუშვათ, რომ მათ გეშმაჩიტების საწინააღმდეგო წინგები იკითხონ. ვმარწვლიან გონებას ყოველგვარი შთაბეჭდილების მისაღებადა მდღერეილი. მთავარია, უფალს ვეღვროთ, შეიღებო მტრის ისრებისა და საცდურებისაგან დაიცვას და დეითიმშობლის საფარველს მიაბარეთ“.

წმინდა მაკარი ოპტიკელი

ელზა ბილაშვილი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების“ დირექტორი:



და პატარძელის №2 და მანავის №2 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში კარ-ფანჯრის შეცვლა და ელექტრო გაყვანილობის მოწესრიგება. კაკაბეთის №1 და კაკაბეთის №2 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში ეზოების შემოღობვა, საგარეჯოს №1 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების შესასვლელის გადახურვა და შიბლიანის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში მოწესრიგდა კმების ბლოკი.

მეორე წელი შეჩერებულია მანავის №1 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში მუშაობა შენობის ავარიული მდგომარეობის გამო. მშობელთა მოთხოვნის საფუძველზე მანავის №1 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების აღსაზრდელები და თანამშრომლები გადაყვანილები არიან მანავის №2 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების შენობაში.

უჯარმის საბავშვო ბაღს აქვს ახალი შენობა, მაგრამ გაუმართავი კანალიზაციის არსებობის გამო შენობა ვერ ფუნქციონირებს, რაც შეეხება საგარეჯოს №4 საბავშვო ბაღს, საავალადო მდგომარეობაშია, დაუმთავრებელია ბაღისათვის გამოყოფილი შენობა, ის შენობა კი რომელშიც მოთავსებულია საბავშვო ბაღი არ ეკუთვნის საგარეჯოს მუნიციპალიტეტს და მისი შეკეთება შეუძლებელია.

ერთ წელზე მეტია გაერთიანებაში შემოსულია მოთხოვნა „გაღმავის“ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების ფუნქციონირებასთან დაკავშირებით. მუნიციპალიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება ბაღის აღდგენის შესახებ.

ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემების მოგვარება დაწესებულია. მუნიციპალიტეტის ძალისხმევით აღნიშნული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები უნდა შეკეთდეს რეგიონული განვითარების ფონდიდან.

სოფლის განვითარების ფონდიდან გარემონტდა ნინოწმინდის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში კვების ბლოკი, საქართველოს სტრატეგიული კვლევისა და განვითარების ცენტრის მიერ „ქალთა გაძლიერება-ცვლილებებისათვის“ პროექტის ფარგლებში კეთილმოეწყო ნინოწმინდის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში ეზო. სოფლის განვითარების ფონდიდან ყანდაურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში ერთ ოთახში შეიცვალა კარ-ფანჯარა.

მუნიციპალიტეტმა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებისათვის გამოყო 13 000 ლარი, რომლის საშუალებითაც შევიძინეთ დეზობარიერები და თანამედროვე მასალით დამზადებული სამხარეულოს ინვენტარი (მაგიდები, ქვაბები, ტაფები და სათლები).

გაერთიანებისათვის გამოყოფილი სუფსილის ეკონომიით შეიცვალა ელექტროგაყვანილობა საგარეჯოს №2, საგარეჯოს №3, საგარეჯოს №5, გიორგიწმინდის, ნინოწმინდის, პატარძელის №2 და პატარა ჩაილურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში. მიმდინარეობს კანალიზაციის რეაბილიტაცია-შეკეთება ბაღიაურის, კაკაბეთის №2, გიორგიწმინდის, საგარეჯოს №5 და პატარძელის №2 სკოლამდელი აღ-

ზრდის დაწესებულებებში. ხოლო საგარეჯოს №2 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში მილიანად შეიცვალა მოშლილი წყლის სისტემა.

პატარძელის №1 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებას წლების განმავლობაში დავალიანების გამო არ მიეწოდებოდა ბუნებრივი აირი, მიმდინარეობს აღნიშნული ბაღის გაზიფიცირება.

მიმდინარეობს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შემოთ უზრუნველყოფა. სურსათის ეროვნული სააგენტოს მოთხოვნის საფუძველზე ჩატარდა ტრენინგი მენეჯერებისა და მხარეულებისათვის „სურსათის უვნებლობა, სურსათის საფრთხეები, ტემპერატურული რეჟიმები, პერსონალის პირადი ჰიგიენა და ქცევის წესები“.

კვებაზე გამოყოფილი სუფსილის ხარჯზე სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებისათვის უნდა შევიძინოთ საყოფაცხოვრებო საქონელი (მაცივრები, გაზქურები, გაზისა და ელექტრო გამათბობლები, ელექტრო ხორცსაკეპი მანქანები და ელექტრო სასწორები), მუსიკალური ცენტრები, საბავშვო სკამები, მაგიდები, სპეციალური თაროები, რომლებიც აუცილებელია სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში სრულყოფილი სასწავლო სადამზრდელო პროცესების წარმართვისათვის.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში სასწავლო სადამზრდელო მუშაობის გასაუმჯობესებლად გაერთიანება სისტემატურად უწევს მონიტორინგს სადამზრდელო პროცესს, რომელიც მიმდინარეობს წლიური საშუალო გეგმის მიხედვით; უწევს მეთოდურ დახმარებას აღმზრდელებს და აწვდის ყველა ინოვაციას. გაერთიანება მჭიდროდ თანამშრომლობს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან არსებულ „სკოლამდელთა განათლების განვითარების სამმართველოსთან“ (ხელმძღვანელი ნ. ფანჯულიძე).

სკოლამდელ გაერთიანებას ასევე მჭიდროდ ეკავშირება აქვს არასამთავრობო ორგანიზაცია „გიტას გეორგიკასთან“ (ხელმძღვანელი კ. მესხიძე), რომელიც მთელი ქვეყნის მასშტაბით ახორციელებს მეთოდურ და სადამზრდელო მუშაობას სკოლამდელ დაწესებულებებში, ხსნის ალტერნატიულ ჯგუფებს ისეთ დასახლებებში, სადაც საბავშვო ბაღები არ ფუნქციონირებს. პროექტებს ახორციელებს პოლონური ორგანიზაცია „ელეკტორი“.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები მუშაობენ უახლესი სასწავლო სადამზრდელო პროგრამებით და მეთოდური სახელმძღვანელოებით.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში სისტემატურად ტარდება ღია მეცადინეობები სხვადასხვა თემზე ყველა ასაკის ბავშვებისათვის.

ყველა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში ჩატარდა შემაჯამებელი მეცადინეობები სასკოლო ასაკის ბავშვებისათვის. გაერთიანების სპეციალისტებმა მოის-



მინეს და გაანალიზეს თითქმის ყველა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში მეცადინეობები და აქტივობები და გამოავლინეს წარმატებული აღმზრდელები.

მუნიციპალიტეტში შემავალი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების თითქმის ყველა დაწესებულება საჭიროებს კაპიტალურ ან კონსტრუქციულ რემონტს. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება მუნიციპალიტეტთან ერთად ცდილობს გამოასწოროს ბაღებში მდგომარეობა, რათა მიუახლოვდეთ სტანდარტებს, რომლებიც აუცილებელია ბავშვის სრულყოფილი განვითარებისათვის.

დამდეგ ახალ წელს ვულოცავ ჩვენს აღსაზრდელებს, მათ მშობლებს, აღსაზრდელებს აღზრდაზე მზრუნველ აღმზრდელებს და მომსახურე პერსონალს!



* * *

რომან ზუპაკიშვილი

საახალწლო ნაუპითხეთ მანგილგს

რა ხანია გელოდები, მალე მოდი თოვლის პაპა! დეკსებს გეტყვი, შენ კი ალბათ მომიყვები ლამაზ ზღაპარს. ვიცი, შენც მოგეჩქარება – გამოივლი ტყეს და მიხდორს და საჩუქრებს რომ მომიტან – გოზინაყი ჩემზე იყოს.



„შენ გაგიარჯოს სიკვდილო, სიხოსხლა ფასოზ შენითა“

გაგანგებულნი სულსათვის სიხოსხლა ის,

რომ მისთვის კვირფასი აღაიანებო აგაკალაზან ლოზანს...



რომ განსხვავდება ერთმანეთისგან ცოცხლისა და გარდაცვლილის მდგომარეობა? იმით, რომ გარდაცვლილებს აღარ აქვთ უნარი რამე შეცვალონ. ისინი არიან უკვე თავისი თავისთვის საბოლოო მდგომარეობაში. როგორც ისინი წარდგნენ თავიანთ კერძო სამსჯავროზე, იმავე მდგომარეობით წარდგებიან საზოგადოებრივ სამსჯავროზეც. დედა ეკლესიის ღვთისმეტყველებით, რომელიც წყალობით ყველაფერი შეიძლება შეიცვალოს. გარდაცვლილის სულისათვის სიხოსხლა ის, რომ მისთვის ძვირფასი აღაიანებო განსხვავებულად ცხოვრობენ. ისე არ იქცევიან, როგორც თვითონ შეიძლება ერთ დროს იქცეოდა სიცოცხლეში. მისთვის ძვირფასი აღაიანებო აგრძელებენ ღოცვას. თუ მანამდე არ იყვნენ ეკლესიურები, ცხოვრობენ ეკლესიურად და თავიანთი მსახურებით შექვეყნიან იმქვეყნად მყოფ ახლობელს და სიხარულს ანიჭებენ.

რამხელა სიხარულია, როდესაც გარდაცვლილი აღაიანების მიხედვით, მისმა ახლობლებმა ღმერთის დიდება დაიწყეს. ჯანსაღ საზოგადოებაში და ჭეშმარიტი ქრისტიანისათვის სასიხარულო მართლაც უფრო მეტია, ვიდრე სამწუხარო. ღმერთი თავად არის სიცოცხლე, ღმერთს სიკვდილი არ შეუქმნია. სიკვდილი ცოცხლის ნაყოფია. სიკვდილი არის ყველაზე არაბუნებრივი, რაც შეიძლება ამ სოფლად არსებობდეს, ამიტომაც თავად მაცხოვარი წუხს და დარდობს. როგორც სახარებაში წერია, თვითონ ის შეძრწუნებულია და შინაგანად სულიერად განიცდის. ხოლო ის, რომ ჩვენ ვდარდობთ ჩვენს გარდაცვლილებზე, ამაში არაფერია არაბუნებრივი, ასეც უნდა იყოს. **კარგად უნდა ვიცოდეთ, რომ მარადიული ადგილისათვის აუცილებლად შევხვდებით ერთმანეთს. ღმერთმა ინებოს, მერც ღვთის მადლით შევხვდეთ ერთმანეთს.**

ლევან ყარაყაშვილი



სულ ცხრაჯერ შეხვდა თავის დაბადების დღეს - 4 თებერვალს. ზრდილობიანი, თავის ასაკთან შედარებით ნაადრევად, კაცურად და დინჯუბული, თავაზიანი და

მორიდებული რაღაც უცნაურ პატივისცემას იმსახურებდა თანასოფლელებისგან. ზედმეტად თავმოყვარე თავადაც არავის აწყენინებდა არც სიტყვით და არც ქმედებით. სამი მძის შუათანა ბიჭი უფროს ძმასაც განსაკუთრებული მოკრძალებით ექცეოდა და პატარაზედაც მზრუნველობდა. ოჯახი ხელმოკლედ ცხოვრობდა, მაგრამ არავის აგრძობინებდა, პირიქით, თავი ღირსეულად ეჭირა - იცოდა, გაიზრდებოდნენ და ეს სამი ძმა თავიანთი შრომითა და გარჯით ფეხზე წამოაყენებდა ოჯახს, მაგრამ...

ჯერ მხოლოდ უჯარმის საჯარო სკოლის მეოთხე კლასის მოსწავლე იყო და ისევ მეოთხე კლასის მოსწავლედ დარჩება ლევანი - ვერ დაივიწყებენ ვერც პედაგოგები და ვერც თანაკლასელები. სულ ემახსოვრება უჯარმის თავისი შვილი - ლევან ყარაყაშვილი, ვაჟაკურად რომ ებრძოდა სიცოცხლის ბოლო თვეებში უკურნებელ სენს. მხოლოდ ბალიშში, მისმა სასთუმალმა თუ იცოდა, რა ტანჯვას, ტკივილებს იტანდა ეს პატარა ბიჭი. არ დაავიწყდება არც ექიმს - მარინა წოწკოლაურს ამ პატარა ბიჭის დიდსულოვნება - როგორ უხმოდა იტანდა მტანჯველ ტკივილებს, ვერც მისი ძმაცაცის დედა - ექთანი ცილა დაივიწყებს ლევანის სახეს - გაწამებულს, მაგრამ ექიმისა და ექთნის, მისი მომკითხავების მიმართ მადლიერების, ნათელი სხივით გასხივონებულს, საოცარია, რა მადლიერებით ებოდიშებოდა ყველას შეწუხებისთვის, ხელებს უკოცნიდათ და ღოცავდათ მისი ჭირსუფლობისთვის. ჭირსუფალი კი მართლაც მთელი უჯარმა იყო, მთელი თემის მოსახლეობა - 18 სოფლებს უჯარმის მიწას მიაბარეს ერთი პატარა უჯარმელი ბიჭი, ცხარე ცრემლების ხევიანში მიაცილებდნენ ყველაფრის ნატრულს ცხოვრებაში...

ლევანის 9 წლიანი ბიოგრაფია უამრავ ტკივილსა და გაჭირვებას, დათმენას იტევს. მაგრამ, მიუხედავად ყველაფრისა, ტკივილამდე უყვარდა ყველა და ყველაფერი, შეხარობდა სიცოცხლეს, მაგრამ უფალმა თავისთან იხმო, თავის ფრთებქვეშ შეიყუვა და ისე დაუაბა ტკივილები...


ლევანი ვეღარ შეხვდა ახალ წელს ჩვენთან ერთად. ის ახლა ზეციური საქართველოდან დაჰყურებს თავისიანებს.

მისხსენებ ლევანი თქვენს ღოცვებში ლევანის თანატოლებს, მასზე უფროსებს და უმცროსებს, ლევანიც ჩვენი სისხლი და ხორცია, ერთი ჩვენთაგანი, ქართულად მოაზროვნე და ქართული სულის მატარებელი პატარა ვაჟაკი...

და თუ მოწმენდილ ცაზე დამე ყველაზე მეტად მოკაშკაშე და მოუღვარე ვარსკვლავი დაინახეთ, იცოდეთ, რომ ის ლევანია, ისევე სიყვარულით სავსე თვალებით რომ დასცქერის თავის მიწა-წყალს...

თინათინა ილაშვილი

„მიწა ვარ და მიწად ვიქცე, ჩავემარცვლე ქრისტეს ყანას“



ჯემალ ნინოშვილი
ამ დღეებში საგარეჯოს სპორტულ სახელოვან ოჯახს ერთ-ერთი ღირსეული წევრი, ცნობილი მოჭიდავე - ფალავანი ჯემალ ნინოშვილი გამოაკლდა.

იგი დაიბადა 1946 წელს. დამთავრა საგარეჯოს I საშუალო სკოლა. რამანა ნინოშვილისა და ელიკო არჩუაძის მრავალწლიანი ოჯახის უფროსი ვაჟი პატარაობიდანვე ეზიარა ქართული ჭიდაობის რაინდულ, ღამაზ, სწრაფ, სახრიან და მრავალფეროვან ილეთებს, რომელმაც შემდგომში დიდ სპორტში გაუკვალა გზა. გარეჯულ ცნობილ მოჭიდავეებთან - ლევან თედიაშვილთან, გურამ გოგოლაურთან, რიონ ქაიხოსროშვილთან, მიხეილ არჩუაძესთან, დედა რევაზიშვილთან ერთად გაიარა თავისუფალი ჭიდაობის შესანიშნავი სკოლა ცნობილ მწვრთნელთან ვანო მეკოკიშვილთან, ხოლო შემდეგ, ქალაქ გორში პედაგოგიურ ინსტიტუტში სწავლისას ვარჯიში დაიწყო მსოფლიოში აღიარებულ გორის ძიუდოს სკოლაში, სახელგანთქმულ მწვრთნელთან გურამ პაპიტაშვილთან. ჯემალი წარმატებით გამოდიოდა როგორც საკაეშირო, ასევე საერთაშორისო და საქართველოს პირველობებზე ძიუდოში, ფალავანობაში, ქართულ ჭიდაობაში. იყო საბჭოთა კავშირის სტუდენტთა თამაშების ჩემპიონი და მრავალჯერადი პრიზიორი. სპორტული საზოგადოება „ბურვესტნიკის“ საკაეშირო ცენტრალური საბჭოს ჩემპიონი, საქართველოს პრიზიორი ძიუდოში, არსენ მეკოკიშვილის სახელობის საკაეშირო ტურნირის გამარჯვებული საბჭოში (90 კგ), საქართველოს პირველობებზე ძიუდოში, საბჭოში, თავისუფალ ფალავანთა პირველობის III პრიზიორი. ტრავიკული შემთხვევის შედეგად ბოლო წლები მიუძღვრული იყო ღოცვის. ჯემალს დარჩა შესანიშნავი ოჯახი - მეუღლე და ორი ვაჟაკი. საჭიდაო არენაზე და ცხოვრებაშიც გამოიჩინა მაშინველი ნათესაობით, სიკეთით, პირდაპირობით, მეგობრობით.

ნათელი ამყოფოს ღირსეული მამულიშვილის, საუკეთესო მეგობრის, ოჯახის თავაკის, სახელოვანი მოჭიდავის სული.

აიკა „საბარეჯოს მშენიცი კალიტატის სპორტული გაერთიანების“ თანამშრომელი

რობინზონ (რობა) როსტიაშვილი
როგორ მენტრები ჩემო საყვარელო, ოცნებით შენთან ვარ მუდამ. ბევრს ენატრობ შენთან რომ მოვიდე აზრფრთი უკან არ დავიხვე, არა.



რამდენიმე
დღე და კარს შემოაღებს ახალი 2015 წელი, რომელსაც უშენოდ შეხვედებით, შვილო. როგორი მწარეა ეს დღეები ჩემთვის და მთელი შენი ოჯახისათვის, მაგრამ რამდენადაც არ უნდა მწარე იყოს ეს ყველაფერი,

მაინც რეალობა და ვერაფერს შევცვლით. მინდა იმქვეყნად მოვილოცო ახალი წელი, რაც აქ ვერ ნახე, ვერ გაიხარე და ჩემი აზრით, რაც აქაურ ცხოვრებაში დღეები დაგაკლდა, იქ იმ ქვეყნად გაიხარე და იყავი ნათელში, ჩემო საყვარელო შვილო!
იცოდე, რომ დედას უაზროდ და უზომოდ ენატრები.

ნელ-ნელა ჩემი დროც გაიბრუნს, შევხვდებით მხოლოდ იმ ქვეყნად. მაგრამ ამ მოცდას ვერ ვუძლებ საშინლად მიმიძის უშენოდ. ეს რა ტკივილი მარტუნა წუთისოფელმა ამ ქვეყნად?! საშინლად მეწვის მე გული, გაორებული დავლივარ. ხან აქ დაგაკეზო ოცნებით. ხან შენთან ვარ იმ ქვეყნად. ვერ ვივებ, როგორ მოვიქცე და ამ სიმწარეს რა ვუყო. შენ, ჩემო შვილო, ძვირფასო, რატომ ისურვე დედაზე ადრე იმ ქვეყნად გადასვლა?! ეს მტკივნეული ცხოვრება რად დაუტოვე შენს დედას?! სიცოცხლე ისევ გრძელდება, ვერაფერს შეცვლი შენ, თურმე მიღაც არ უნდა იქნებოდა ქვეყანას ვერას გაუგებ, ხან მწარეა და ხან ტკიბილი, დღეები არის სულ მცირე, პატარა წუთისოფელი. სად, რა დროს, როგორ მოვიგლის ამას ვერაფერს ვაივებ. ზოგს გული სტკივა საშინლად ზოგს კი ახარებს ცხოვრება, ღმერთო! სიკეთე მიეცი, დედამიწაზე სულყველას!!!

დედა

გია ქურდიანი

საქართველოს ინტელექტუალური ციხის კიდევ ერთი საჩინო პიროვნება გამოაკლდა. გარდაიცვალა საგარეჯოს ძირძველი, ზაქარია მღვდელი და გიგო ქურდიანის შთამომავალი, წარჩინებული ქურდიანების არქიტექტორული დინასტიის ბრწყინვალე წარმომადგენელი გია ქურდიანი.



იგი იყო დამსახურებული ხუროთმოძღვრების არჩილ და ქეთევან ქურდიანების ვაჟი, ბავშვობიდან იზრდებოდა ქართულ არქიტექტურულ ტრადიციებზე, რის გამო ადრეულ ასაკში ჩამოყალიბდა როგორც მადალესოტურული სპეციალისტი, და ადრეიდანვე შეუდგა პრაქტიკულ საქმიანობას, ამასთან იგი დარჩა ინდივიდუალური ხედვის, გამოვლებით გამოჩენილი არქიტექტორი.

გია ქურდიანი იყო მრავალი მნიშვნელოვანი არქიტექტურული ობიექტის ავტორი და თანამონაწილე, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს „დინამოს“ სტადიონის მშენებლობა, რომელიც მან მამასთან - არჩილ ქურდიანთან ერთად განახორციელა. მისი შემოქმედების ღირსშესანიშნავი ობიექტებია: სამთავრობო რეზიდენცია თბილისში, ბობოყვათში, ვარციხეში, მრგვალი ავტობაზა, ორთაჭალასა და კრწანისში, ქ. ქუთაისში ფინანსთა სამინისტროს იმერეთის რეგიონული ცენტრი. მისი დამსახურებაა ქ. საგარეჯოს სანაპირო ზოლისა და მიმდებარე საცხოვრებელი და ადმინისტრაციული შენობების რეკონსტრუქცია და მრავალი სხვა.

2006 წელს მას მიენიჭა წლის საუკეთესო არქიტექტორის წოდება, ხოლო 2012 წელს არქიტექტურის რაინდის ტიტული. მისი მოღვაწეობის შესახებ ინფორმაცია დაიბეჭდა სხვადასხვა ენციკლოპედიურ გამოცემებში, როგორცაა „ვინც ვინაა“ და „ახეთის გამოჩენილი აღაიანებო“.

კარგი ხუროთმოძღვარი, მეგობარი, მეოჯახე, მოქალაქე დიდხანს დარჩება საზოგადოების მესხიერებაში

ოქანბი

ლექსო თულაშვილი

რა ღამაში იყო დედისათვის, ლექსო, ის ღამაში 9 იანვარი, როდესაც შენ მოვედინე ამ ქვეყანას. როდესაც პირველმა დაუძახე დედას „დედა“. გვიხარობდა ერთად ყოფნა, არაფერს არ ვიშურებდი, რომ ბედნიერი და სულით ღამაში, კარგი შვილი გამეზარდებოდა, მაგრამ ჩემი მონღო-მება არაფერი ყოფილა, შვილო. თუ არა შენი ბედის მწვრალი, რომელმაც ძალიან დაუნდობლად გაგამეტა და გაგაგვარა შენ და მე. ის 24 წელი - დედა-შვილობაში, ახლა კი 10 წელი გაგვიხდა უერთმანეთოდ. ათჯერ მოვიდა ეს 9 იანვარი შენთვის - მიმიე მიწაში და ჩემთვის - შავ ძაძებში და ცრემლებში. უახლოვდება ეს მწარე



განსორების წლები ერთად ყოფნის წლებს, რომელიც დედას უარესად დახვარს სცემს და ავიწყებს, ერთი დღე ხომ არ ყოფილა ჩვენი ცალკე ცალკე ყოფნის. ყველაწიანად გვიდობო მალე დადგეს ის 9

იანვარი, როდესაც ერთად ისევ ვიხეივებ შენს გაყენას. ჩვენს განშორებას შენი ღამაში თვედროეთი ადვილქამ, რომელიც 9 თვის დაურუნა დედას, შენს თუნას და უკვე 10 წლის ვისდებდა. ვაჟა წლები და ალბათ ახლობლების ნახურვით გაიგებს შენს ფასს, მაგრამ, რა! ის მაინც „ობოლი“ იქნება ბოლომდის, და შენ მაინც ილოცე, შვილო, „ობლის კვერი“, რომელიც როდესაც გამოცხვება. გეზრდება დისშვილი, რომელიც შენს საყვარელ დასთან ერთად გიხსენებს მცირე მოკონებებით და გილოცავს ბედნიერ დღეს. კიდევ ერთხელ გილოცავთ მთელი ოჯახი „მწარე დაბადების დღეს“

დედა



მუნიციპალიტეტის 2014 წლის საუკეთესო სპორტსმენთა ათეული



1. კობა მჭედლოშვილი



სამართმელს ჩემპიონი სამბოში, ევროპის II პრიზიორი სამბოში (ჭაბუკთა შორის). საქართველოს ჩემპიონი ძიუდოში (ახალგაზრდებს შორის), ევროპის ჩემპიონი გუნდურში (ძიუდო, ახალგაზრდებს შორის); ევროპის თასზე II ადგილი (ახალგაზრდებს შორის ძიუდოში), მსოფლიო ჩემპიონატის II პრიზიორი (ძიუდო, გუნდურში ახალგაზრდებს შორის), მსოფლიო III პრიზიორი პირადში (ახალგაზრდებს შორის ძიუდოში).

2. თამაზ კიტაპოზაშვილი



სამართმელს III პრიზიორი (ძიუდოში ორგზის, ახალგაზრდებს შორის), საქართველოს III პრიზიორი ძიუდოში (დიდებს შორის), მსოფლიო ოლიმპიური თამაშების II პრიზიორი (ახალგაზრდებს შორის).

3. ირაკლი კუპატაძე



სამართმელს ჩემპიონი სამბოში (ჭაბუკებში), საქართველოს ორგზის პრიზიორი (ძიუდოში ახალგაზრდებს შორის), ევროპის ჩემპიონი სამბოში (ჭაბუკთა შორის), მსოფლიო ჩემპიონი სამბოში (ჭაბუკთა შორის).

4. ზაურ მამარლაშვილი



სამართმელს ჩემპიონი სამბოში (ახალგაზრდებს შორის), ევროპის ჩემპიონი სამბოში (ახალგაზრდებს შორის). მსოფლიოს III პრიზიორი (ახალგაზრდებს შორის), საქართველოს II და III პრიზიორი (ახალგაზრდებს შორის ძიუდოში), ევროპის თასზე III პრიზიორი ძიუდოში (ახალგაზრდებს შორის).

5. ზურაბ ებოჭონაშვილი



სამართმელს ჩემპიონატის II და III პრიზიორი (თავისუფალი ჭილაობა დიდებში), საერთაშორისო ტურნირის III პრიზიორი (დიდებში).

6. ნანი უნაშვილი



სამართმელს ჩემპიონი 20 წლამდე ასაკის მოჭადრაკეთა შორის.

7. ელდარ ჯიძიძე



სამართმელს ორგზის ჩემპიონი ძიუდოში (ჭაბუკთა შორის), საქართველოს ორგზის III პრიზიორი ძიუდოში (ჭაბუკთა შორის).

8. თორნიკე ტოსტიაშვილი



სამართმელს ორგზის III პრიზიორი (დიდებში) თავისუფალ ჭილაობაში.

9. ნატა ყიფშიძე



სამართმელს ჩემპიონი ძიუდოში ჭაბუკ-კოვონათა შორის. ევროპის თასზე II პრიზიორი ძიუდოში, კიევს ევროპის თასზე I ადგილი ძიუდოში, ერევნის ევროპის თასზე – I ადგილი. ევროპის პირველობაზე V პრიზიორი ძიუდოში.

10. ამირან ღარბაიშვილი



სამართმელს I პრიზიორი (ჭაბუკთა შორის), III პრიზიორი სამბოში ძიუდოში. საქართველოს II პრიზიორი სამბოში.

იცით, თუ არა, რამ...

ისინი უძველესი ქართული ცხენოსნური სპორტული თამაშია, რომელშიც ჩართულია სამხედრო ტაქტიკის ელემენტები: დაზვერვა, უეცარი თავდასხმა, ცხენის სწრაფად დახვევა, მოელი სისწრაფით გაქცევა-გამოკიდება, იერიში, კონტრიერიში.

მასანი – საჯირითო მოედანი სამხედრო ვარჯიშებისა და სახალხო გართობისათვის ფეოდალურ საქართველოში. მოედნის შუა ადგილას აღმართული იყო ძელი, რომელზეც სამიზნედ ოქროს ან ვერცხლის თასს დგამდნენ. ცხენზე ამხედრებული მოჯირითეები რიგრიგობით ჩაიქროლებდნენ და მშვილდ-ისარს ესროდნენ თასს, ვინც თასს ჩამოაგდებდა, თასიც მისი კუთვნილება იყო.

ვილოცვა

ღაბაღბის დღეს ვულოცავთ აიპ „საქართველოს სპორტგაერთიანების“ დირექტორს, ქართული და სპორტული ტრადიციების თავგანისმცემელსა და მიმდევარს, ჩვენი გაზეთის გულშემბატკივარსა და გვერდში მდგომს **ბია (ბიორბი) მაისუკაშვილს**. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, სიკეთეს, სიხარულს, ახალ-ახალ გამარჯვებებს და წარმატებებს გარეკახელი სპორტსმენების აღზრდისა და მათთვის ხელშეწყობის საქმეში.

გაზეთი „გარეჯის მაცნე“ რედაქცია



ღაბაღბის დღეს ვულოცავთ ჭეშმარიტ მამულიშვილს, ქართველი კაცის ყველა ღირსებით შემკულ პიროვნებას, სანიშნო მეგობარს, შესანიშნავი ოჯახის მამას, პაპას, სპორტის ამგდარ მოღვაწეს, გარეჯული სპორტის თავკაცს, აიპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტული გაერთიანების“ დირექტორს **ბიორბი (ბია) მაისუკაშვილს**, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, სიკეთეს, სიხარულს. დმერთმა ხელი მოუშაროს პირად ცხოვრებაში, გარეჯული სპორტის აღორძინებისა და განვითარების საქმეში.

აიპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტული გაერთიანების“ თანამშრომლები

„გარეჯის მაცნე“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“

რედაქტორი: თინათინ ილაური

რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო, დ. აღმაშენებლის ქ. № 15,



გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“ დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში“.

ტელეფონები: 24-32-07 599 502 842 599 851 143

ელ. ფოსტა: gareji2011@mail.ru